



საქართველოს კანონი  
„სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში  
დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1999 წელი №13 (20)) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

1. მე-2 მუხლის ტექსტი ჩაითვალოს პირველ პუნქტად, ხოლო მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 პუნქტი:

„2. ამ კანონით დადგენილი წესით აღსრულებას ექვემდებარება ასევე ადინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) ადმინისტრაციული აქტი კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში“.

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 91<sup>2</sup>-ე მუხლი:

„მუხლი 91<sup>2</sup>. მშენებლობის შეჩერებისა და შენობა-ნაგებობათა მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერებისა და დემონტაჟის, აგრეთვე არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დაშვებული დარღვევისათვის ჯარიმის დაკისრების შესახებ დადგენილების აღსრულება.

1. მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების იძულებითი აღსრულება იწყება დამრღვევი პირისათვის დადგენილების დაუყოვნებლივ და ნებაყოფლობით შესრულების თაობაზე მიცემული წინადადების შეუსრულებლობის შემდეგ.

2. შენობა-ნაგებობათა მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერებისა და დემონტაჟის შესახებ დადგენილების იძულებითი აღსრულება იწყება სასამართლო აღმასრულებლის მიერ დამრღვევი პირისათვის დადგენილების ნებაყოფლობით შესრულების თაობაზე წინადადების მიღებიდან არა უმეტეს 10 დღის შემდეგ.

3. თუ დამრღვევი პირი არ ემორჩილება სასამართლოს აღმასრულებლის მითითებებს, ამ უკანასკნელს შეუძლია დახმარებისთვის მიმართოს ადგილობრივ თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს ან სააღსრულებლო პროდიცირს.

4. მშენებლობის შეჩერების ან/და შენობა-ნაგებობათა მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერებისა და დემონტაჟის შესახებ დადგენილების იძულებითი აღსრულება იწყება დადგენილების აღსასრულებლად კანონმდებლობით გათვალისწინებული წინასწარი

ხარჯების დაფარვის შემდეგ მშენებლობის შეჩერების ან/და შენობა-ნაგებობათა მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერებისა და დემონტაჟის შესახებ დადაგენილების იძულებითი აღსრულებისათვის გათვალისწინებული წინასწარი ხარჯები გაიღება დადაგენილების მიმღები ორგანოს მიერ.

5. მშენებლობის შეჩერებისა ან/და შენობა-ნაგებობათა მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერებისა და დემონტაჟის შესახებ დადაგენილების იძულებით აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯების (მათ შორის დადაგენილების იძულებით აღსრულებისათვის გათვალისწინებული წინასწარი ხარჯების) ანაზღაურება ეკისრება დამრღვევ პირს.

6. დადაგენილება არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დაშვებულ დარღვევისათვის ჯარიმის დაკისრებისა და დარღვევით მიყენებული ზიანის გამოსწორების ვალდებულების დაკისრების შესახებ აღსრულდება ამ კანონის XVIII-XIX თავებით დადაგენილი წესით.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი                      ბ ა რ ა თ ი

„არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონპროექტიდან გამომდინარე მომზადებულ კანონპროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“ დამატებების შეტანის შესახებ“

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“ წარმოდგენილი დამატებების მიხედვით სისხლის სამართლებრივი წესით დასჯადად მიიჩნევა იძულებით აღსრულებას დაქვემდებარებული ადმინისტრაციული აქტით დაკისრებული მოქმედების შეუსრულებლობა, მათ შორის კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის შეჩერების ან/და შენობა-ნაგებობათა მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერებისა და დემონტაჟის, აგრეთვე არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დაშვებული დარღვევისათვის ჯარიმის დაკისრების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შეუსრულებლობა.

კანონპროექტი მომზადებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ და მისი მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“  
დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში  
(„საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, I ნაწილი №41(48), 1999  
წელი, მუხ. 209) შეტანილი იქნეს შემდეგი დამატებები:

1. 377-ე მუხლის სათაურსა და პირველ აბზაცში სიტყვების  
„სასამართლო გადაწყვეტილებით“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ანდა  
იძულებით აღსრულებას დაქვემდებარებული ადმინისტრაციული  
აქტით“ და 377-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 377. მოვალის მიერ სასამართლო გადაწყვეტილებით  
ანდა იძულებით აღსრულებას დაქვემდებარებული  
ადმინისტრაციული აქტით დაკისრებული მოქმედების  
შეუსრულებლობა

მოვალის მიერ სასამართლო გადაწყვეტილებით ანდა  
იძულებით აღსრულებას დაქვემდებარებული ადმინისტრაციული  
აქტით დაკისრებული იმ მოქმედების შეუსრულებლობა რომლის  
შესრულება მხოლოდ მას შეუძლია, -

ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით  
ასორმოცდაათიდან სამას საათამდე ან ტუსალობით ექვს თვემდე  
ვადით“.

2. 381-ე მუხლის სათაურსა და პირველ აბზაცში სიტყვების  
„სასამართლო გადაწყვეტილების“ შემდეგ დაემატოს სიტყვები  
„აგრეთვე იძულებით აღსრულებას დაქვემდებარებული  
ადმინისტრაციული აქტის“ და 381-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი  
რედაქციით:

„მუხლი 381. განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების  
აგრეთვე იძულებით აღსრულებას დაქვემდებარებული  
ადმინისტრაციული აქტის შეუსრულებლობა.

მაღაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო  
გადაწყვეტილების აგრეთვე იძულებით აღსრულებას  
დაქვემდებარებული ადმინისტრაციული აქტის შეუსრულებლობა

ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა ხელის  
წარმომადგენლის, სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის  
ან მმართველობის ორგანოს მოხელის ანდა სამეწარმეთა ან სხვა  
ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების  
განმხორციელებლის მიერ, -

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით  
ვადით ასოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ან ტუსალობით  
ვადით სამიდან ექვს თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ორ  
წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების  
ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი



საქართველოს კანონი  
„კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს  
კანონში  
დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1999 წელი, №33(40)) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება:

ა) 77-ე მუხლის ტექსტი ჩაითვალოს პირველ პუნქტად და მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 პუნქტი:

„2. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ერთობლივი ბრძანებით დამცავი ზონების დადგენამდე მოქმედებაშია საქართველოს მთავრობის 2004 წლის 11 აგვისტოს №68 დადგენილების „ქთბილისის ისტორიული ნაწილის განაშენიანების რეგულირების დროებითი რეჟიმის ამოქმედების შესახებ“ შესაბამისი დებულებები, ასევე მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით დადგენილი ცალკეული ქალაქების, უძრავი ძეგლებისა და არქეოლოგიური ობიექტების დამცავი ზონები.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი